

სს „ტერაბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ანგარიშვალდებული საწარმო	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	10
4. ფინანსური რისკის მიმოხილვა	25
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	35
6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	35
7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები.....	36
8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	38
9. გუდვილი	39
10. სხვა აქტივები.....	39
11. გადასახადები	40
12. ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები.....	41
13. სუბორდინირებული სესხები	41
14. ვალდებულებების ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება	42
15. ანაზღაურებები და ნაშთები საკრედიტო ინსტიტუტებისგან.....	42
16. მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურებები.....	43
17. სხვა ვალდებულებები.....	43
18. კაპიტალი.....	44
19. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	44
20. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	44
21. წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან.....	45
22. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	46
23. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	46
24. რისკის მართვა.....	47
25. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	54
26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	57
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	57
28. კაპიტალის ადეკვატურობა	58
29. პირობითი ვალდებულებები	59
30. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	60

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ტერაბანკის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია ბანკის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ბანკის 2021 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ბანკის 2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას

იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკის გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



ჩვენ აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 13 მაისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	<i>შენიშვნები</i>	2021	2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	80,992	81,958
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		146,155	150,957
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	950,206	898,812
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6	127,005	87,311
დასაკუთრებული ქონება	7	19,828	20,204
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	8	24,916	25,483
სხვა არამატერიალური აქტივები		3,031	2,579
გუდვილი	9	20,374	20,374
მოგების გადასახადის აქტივები		-	1,873
სხვა აქტივები	10	8,162	7,214
		1,380,669	1,296,765
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	12	219,608	187,294
ანაზრები და ნაშთები საკრედიტო ინსტიტუტებისგან	15	11,278	10,938
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	16	890,497	861,486
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		223	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	11	1,515	772
სხვა ვალდებულებები	17	7,437	11,590
სუბორდინირებული სესხები	13	58,057	61,489
		1,188,615	1,133,569
სულ ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	121,372	121,372
გაუნაწილებელი მოგება		70,682	41,824
		192,054	163,196
სულ კაპიტალი			
		1,380,669	1,296,765

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 13 მაისს:


 თეა ლორთქიფანიძე
 გენერალური დირექტორი


 სოფიო ჯულელი
 ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას უნდა გვეცნოთ 8-61 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ამ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის და მისი განყოფილი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2021	2020
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განაგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	19	110,880	88,794
საპროცენტო ხარჯი	19	(57,631)	(47,460)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		53,249	41,334
საკრედიტო ზარალის აღდგენა/(ხარჯი)	4	2,187	(20,393)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	20	7,069	6,274
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	20	(3,323)	(3,387)
წმინდა შემოსულობა საკურსო სხვაობებიდან	21	590	7,998
სხვა შემოსავალი		79	243
საოპერაციო შემოსავალი		59,851	32,069
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(15,221)	(13,823)
ცვეთა და ამორტიზაცია		(5,358)	(5,305)
სხვა ანარიცხის ხარჯი		249	(35)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვით და გადაფასებით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(2)	(1,600)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(7,846)	(7,458)
მოგება დაბეგვრამდე		31,673	3,848
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	11	(2,815)	71
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		28,858	3,919

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს 8-61 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც თან ერთვის ფინანსურ ანგარიშგებას და მის ნაწილს წარმოადგენს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	121,372	37,905	159,277
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	3,919	3,919
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	121,372	41,824	163,196
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	28,858	28,858
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	121,372	70,682	192,054

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას უნდა გაეცნოთ 8-61 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ამ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	<i>შენიშვნები</i>	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		109,075	85,549
გადახდილი პროცენტი		(57,573)	(45,892)
მიღებული საკომისიო		7,069	6,274
გადახდილი საკომისიო		(3,259)	(3,335)
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან	21	8,757	(2,161)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		79	243
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(15,998)	(15,365)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(6,980)	(6,861)
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები		2,737	178
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,450)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		43,907	17,180
<i>ცვლილება:</i>			
საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში		(6,867)	(15,203)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(103,159)	(96,672)
ბანკებიდან მიღებული ანაზრები და ნაშთები		2,008	5,311
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან		69,072	77,649
სხვა ვალდებულებები		-	3,028
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		4,961	(8,707)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეყიდვა		(139,951)	(87,228)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		100,988	61,650
შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შეყიდვა		(1,982)	(3,886)
შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი		324	13
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,098)	(1,501)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(42,719)	(30,952)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(2,132)	(1,974)
სესხების მიღება ფინანსური ინსტიტუტებისგან		355,799	81,533
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების დაფარვა		(315,286)	(23,366)
სუბორდინირებული სესხების დაფარვა		(2,302)	(9,918)
შემოსავალი სუბორდინირებული სესხებიდან		3,502	9,210
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	14	39,581	55,485
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,789)	9,144
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(966)	24,970
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	81,958	56,988
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	80,992	81,958

ფულადი ნაკადების ანგარიშგებას უნდა გაეცნოთ 8-61 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ამ ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის და მისი განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ანგარიშვალდებული საწარმო

სამართლებრივი ფორმა და საქმიანობა

სს „ტერაბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) ქართული კომერციული ბანკია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ) მიღებული აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზია. ბანკი ფლობს სებ-ის მიერ 2008 წლის 25 იანვარს გაცემულ საბანკო საქმიანობის ლიცენზიას. ბანკის სარეგისტრაციო ნომერია 204546045.

ბანკის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ანაბრების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქ. წამებულის გამზირი #3. ბანკს აქვს 29 ფილიალი, სერვის-ცენტრი და სერვის-დესქი (2020 წ.: 26), რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

ბანკის შვილობილ კომპანიას - შპს „სტანდარტ დაზღვევა“ არ განუხორციელებია ოპერაციები 2020 და 2019 წლებში და ლიკვიდირებულ იქნა 2021 წლის იანვარში.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სააქციო სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

<i>მესაკუთრები</i>	<i>2021 წილობრივი მონაწილეობა, %</i>	<i>2020 წილობრივი მონაწილეობა, %</i>
შეიხი ნაჰაიან მახარაჟ ალ ნაჰაიანი	65%	65%
შეიხი მოჰამედ ბინ ბუტი ალ ჰამედი	15%	15%
შეიხი მანსურ ბინ ზეიედ ბინ სულთან ალ ნაჰაიანი	15%	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიინგ გრუპ“	5%	5%
	100%	100%

დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები აღწერილია 26-ე შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ჰეჯირების ინსტრუმენტებისა.

(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ბანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში „ლარი“), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს საბაზისო მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(დ) შეფასების და დაშვების გამოყენება

ფას-ების შესაბამისი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებისა და დაშვების გამოყენებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოადგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებისგან.

შეფასებები და საბაზისო დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია შესაძლებლობის ფარგლებში ბაზრიდან აიღება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (იხ. 25-ე შენიშვნა).

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ ასოციაციების განსაზღვრა მაკროეკონომიკურ სცენარებს და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ის ზრდა და გაცვლითი კურსები, და გავლენა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებასა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა დაანერგა კონკრეტული ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში:

- ▶ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და დეფოლტის განსაზღვრის მიზნით დაინერგა კონტამინაციის პრინციპი, რომლითაც ყველა კონკრეტული მსესხებლის დავალიანება გადანაწილდება ამგვარი მსესხებლისთვის ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ხელმისაწვდომ ყველაზე დაბალ ეტაპზე;
- ▶ განისაზღვრა ზიანის გამოსწორების პერიოდი უმცირესი თანმიმდევრული პერიოდის ექვსი თვის გავლის შემდეგ შეცვლილი გადახდის გრაფიკის მიხედვით დავალიანების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დავალიანებიდან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კატეგორიაში გადასვლისთვის.

2021 წლის მოგება-ზარალში საკრედიტო ზარალის ხარჯად აღიარებული მოდელის ცვლილების მთლიანი თანხა იყო 5,044 ლარი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(დ) შეფასების და დაშვების გამოყენება (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურება

ბანკი მიიჩნევს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულად გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ეფუძნება გამოყენების ღირებულებას, რომელიც ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების გამოყენებით. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში. დაშვებების საფუძველზე მიღებული ძირითადი რიცხობრივი მაჩვენებლები წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საბანკო სექტორში მომავალი ტენდეციების შეფასებას, ქვეყნის ეკონომიკის საპროგნოზო ზრდის განაკვეთს და ისინი ეფუძნება გარე და შიდა წყაროებიდან მიღებულ განვლილ მონაცემებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ბანკი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ საანგარიშგებო პოლიტიკებს, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები ლარში კონვერტირდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღში კონვერტირდება ლარში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას (რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის (რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით).

უცხოურ ვალუტებში გამოხატული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თავიდან გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია ოპერაციის დღისთვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) პროცენტი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

- ▶ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ▶ ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების გარდა სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, ბანკი აფასებს მომავალ ფულად ნაკადებს, ფინანსური ინსტრუმენტების ყველა სახელშეკრულებო პირობის, და არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კრედიტზე მორგებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშდება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ბ) პროცენტი (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება მოიცავს გარიგების ხარჯებს და ასევე გადახდილ ან მიღებულ საკომისიოებს და ქულებს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს ნაზარდ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

ამორტიზებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, გამოკლებული ძირით თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ თანხასა და ვადის ბოლოს არსებულ თანხას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაგროვილი ამორტიზაცია, და, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მორგებულია ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული „ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ წარმოადგენს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის დაკორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის დაანგარიშება

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქტივის (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული) მთლიან საბალანსო ღირებულებასთან ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შემობრუნდება ცვალებადგანაკვეთიანი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების პერიოდული გადაფასების შედეგად, პროცენტის საბაზრო განაკვეთებში მოძრაობების ასახვის მიზნით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ასევე იცვლება სამართლიანი ღირებულების ჰეჯირების კორექტირებისთვის, იმ თარიღში, როდესაც იწყება ჰეჯირების კორექტირების ამორტიზება.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ბრუტო საფუძველს უბრუნდება.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურდა თავდაპირველი აღიარებისას, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გაუფასურებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება არ უბრუნდება მთლიან საფუძველს, მაშინაც კი, თუ გაუმჯობესდება აქტივის საკრედიტო რისკი.

ინფორმაცია იმის შესახებ, როდის არის ფინანსური აქტივები გაუფასურებული, იხილეთ 3(დ)(iv) შენიშვნაში.

წარდგენა

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი ეფექტური საპროცენტო მეთოდის საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(გ) საკომისიოები

საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში (იხილეთ მე-3(გ) შენიშვნა).

თუ არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს სესხის მოზიდვას, დაკავშირებული სასესხო ვალდებულების საფასური აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ვალდებულების პერიოდზე.

ხელშეკრულება მომხმარებელთან, რომელიც იწვევს აღიარებულ ფინანსურ ინსტრუმენტს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა ნაწილობრივ მოხდეს ფასს (IFRS) 9-ის და ნაწილობრივ ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, ბანკი პირველად იყენებს ფასს (IFRS) 9 სტანდარტს ხელშეკრულების იმ ნაწილის გამოჯვანისა და შეფასებისთვის, რომელიც ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში ხვდება, ხოლო დანარჩენზე ვრცელდება ფასს (IFRS) 15.

სხვა საკომისიო ხარჯები მეტწილად უკავშირდება საოპერაციო და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც აღირიცხება ხარჯებში მომსახურების გაწევისას.

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

i. კლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდეგი სახით შეფასებულად: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახული.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- ▶ აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სასესხო ინვესტიცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში:

- ▶ აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რომლებიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იგივე წესით, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები:

- ▶ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და შემობრუნება; და
- ▶ საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი.

როდესაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სასესხო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება კაპიტალის მუხლიდან მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული.

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას ბანკს შეუძლია გამოუხმობად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად დააკმაყოფილებდა ამორტიზებული ღირებულებით შეფასების მოთხოვნებს ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასების მდგომარეობით, თუ ამგვარი მოქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვან ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს-მოდელის შეფასება

ბანკი ახდენს იმ ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. შესაბამისი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- ▶ მითითებული პოლიტიკები და ვალდებულებები პორტფელისა და პრაქტიკაში არსებული პოლიტიკების ოპერირებისთვის, მათ შორის ხელმძღვანელობის სტრატეგია ორიენტირებულია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის იმ ვალდებულებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობაზე, რომლებითაც ფინანსდება ამგვარი აქტივები ან ხდება აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების რეალიზაცია;
- ▶ როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ბანკის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ხდება მენეჯერების კომპენსირება, ე.ი. ეფუძნება თუ არა კომპენსაცია მართული აქტივების სამართლიანი ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ▶ წინა პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ. თუმცა, ინფორმაცია გაყიდვების შესახებ არ არის გათვალისწინებული განცალკევებით. ის წარმოადგენს მთლიანი შეფასების ნაწილს იმისა, თუ როგორ მიიღწევა ფინანსური აქტივის მართვაზე ბანკის გაცხადებული მიზანი და როგორ ხდება ფულადი ნაკადების რეალიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობაც გაყიდვის მიზნით ხდება და ასევე რომელთა მაჩვენებელი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების, კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითადთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის, ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ბანკი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი შედგება სახელშეკრულებო პირობისგან, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. შეფასების გაკეთებისას, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

- ▶ პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ▶ დავალიანების მახასიათებლებს;
- ▶ ავანსებს და გახანგრძლივებულ ვადებს;
- ▶ ვადებს, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ბანკის ფულადი ნაკადების მოთხოვნას (ე.ი. შემოუბრუნებელი აქტივების შეთანხმებებს);
- ▶ თვისებებს, რომლებიც ცვლიან დროში ფულის ღირებულების გადასახდელს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდულ განულებას.

ავანსად გადახდის თვისება შეესაბამება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თუ ავანსის თანხა შემდგომში წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის დაუფარავ ნაწილებს დაუფარავ ძირითად თანხაზე, რაც შესაძლოა მოიცავდეს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

რეკლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც ბანკი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი თავისი ფინანსური ვალდებულებების (გარდა ფინანსური გარანტიებისა და სასესხო ვალდებულებებისა) კლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ii. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე, ან როდესაც იგი გადასცემს უფლებას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებაზე გარიგებაში, რომელშიც გადაიცემა ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან რომელშიც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებას (ან იმ აქტივის ნაწილზე გამოყოფილი საბალანსო ღირებულება, რომლის აღიარებაც შეწყდა) და (i) მიღებული საზღაურის და (ii) ნებისმიერი კუმულაციური შემოსულობის ან ზარალის თანხას შორის, რომელიც აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

iii. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის პირობების ცვლილების შემთხვევაში, ბანკი აფასებს მნიშვნელოვნად ხომ არ განსხვავდება შეცვლილი აქტივის ფულადი ნაკადები. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია (შემდგომში „არსებითი ცვლილება“), თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილ ფულად სახსრებზე სახელშეკრულებო უფლებები ვადაგასულად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, ნებისმიერი დაშვებული გარიგების ხარჯის დამატებით. მოდიფიცირების ნაწილის სახით მიღებული ნებისმიერი საკომისიო აღიარდება შემდეგი სახით:

- ▶ საკომისიოები, რომლებიც გათვალისწინებულია ახალი აქტივის და იმ გადახდების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებაში, რომელიც წარმოადენს შესაბამისი გარიგების ხარჯის ანაზღაურებას, შესულია აქტივის თავდაპირველ შეფასებაში; და
- ▶ სხვა საკომისიოები შესულია მოგებაში ან ზარალში, ამორტიზაციისას მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილის სახით.

ცვლილებები ფულად ნაკადებში არსებულ ფინანსურ აქტივებსა თუ ფინანსურ ვალდებულებებზე, არ ითვლება მოდიფიცირებად, თუ ისინი გამოწვეულია არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგ. ბანკის მიერ სებ-ის მნიშვნელოვანი განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებებიდან საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება ბანკს აძლევს ამის უფლებას. ბანკი ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას ატარებს, ე.ი. არის თუ არა თავდაპირველი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები და შეცვლილი ან გამოცვლილი ფინანსური აქტივები არსებითად განსხვავებული. ბანკმა შეაფასა, მოდიფიკაცია არსებითი თუ არა რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, შემდეგი თანმიმდევრობით: თვისობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების ერთობლივი ეფექტი. თუ ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილ ფულად სახსრებზე სახელშეკრულებო უფლებები ვადაგასულად ჩაითვლება.

ბანკმა დაასკვნა, რომ ცვლილება არსებითია შემდეგი თვისობრივი ფაქტორების შედეგად:

- ▶ ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- ▶ ცვლილება უზრუნველყოფის საგანში ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირება.

თუ ფულადი ნაკადები იცვლება, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები, ცვლილების მიზანი ჩვეულებრივ არის თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის შექმნა, არსებითად განსხვავებული პირობებით. თუ ბანკი გეგმავს ფინანსური აქტივის მოდიფიცირებას ისეთი ფორმით, რომელიც გამოიწვევს ფულადი ნაკადების პატიებას, მაშინ ის პირველ რიგში განიხილავს, აქტივის ნაწილი უნდა ჩამოიწეროს თუ არა მოდიფიცირების განხორციელებამდე (ჩამოწერის პოლიტიკა იხილეთ ქვემოთ). ეს მიდგომა გავლენას ახდენს რაოდენობრივი შეფასების შედეგს და ის გულისხმობს, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ კმაყოფილდება. ამის შემდეგ, ბანკი ატარებს იმის თვისობრივ შეფასებას, არის თუ არა მოდიფიცირება არსებითი.

თუ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ბანკი პირველად გადაითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს შედეგად მიღებულ კორექტირებას მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირებით გამოწვეული შემოსულობის ან ზარალის სახით. ცვალებადგანაკვეთიანი ფინანსური აქტივებისთვის, მოდიფიცირებით გამოწვეული შემოსულობისა და ზარალის დასაანგარიშებლად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იცვლება მოდიფიცირების დროს მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვად. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან გასამრჯელოები და მოდიფიცირების ფარგლებში მიღებული საკომისიოები აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

თუ ამგვარი მოდიფიცირება ხორციელდება მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო (იხილეთ 3(ე)(iv) შენიშვნა), შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში, ის წარდგენილია, როგორც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი (იხილეთ 3(გ) შენიშვნა).

ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხებისთვის, როდესაც მსესხებელს აქვს სესხის ვადაზე ადრე ნომინალური ღირებულებით დაფარვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ჯარიმის დარიცხვის გარეშე, ბანკი საპროცენტო განაკვეთის მიმდინარე საბაზრო განაკვეთამდე მოდიფიცირებას აღიარებს, ცვალებადგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი პერსპექტიულად იცვლება.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, მისი ვადის ცვლილებისას, ან როდესაც შეცვლილი ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება. ასეთ შემთხვევაში, შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით აღიარდება. სხვაობა დაფარული ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებასა და შეცვლილი პირობების მქონე ახალი ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში აღიარდება. გადახდილი საზღაური მოიცავს გადაცემულ არაფინანსურ აქტივებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ვალდებულებებთან დაკავშირებულ დაშვებას, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით.

იმის შესაფასებლად, მოდიფიკაცია არსებითია თუ არა, ბანკი რაოდენობრივ და თვისებრივ შეფასების მეთოდებს იყენებს, რომელშიც რაოდენობრივი ფაქტორები, თვისებრივი ფაქტორები და რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების ერთობლიობა არის გათვალისწინებული. ბანკმა დაასკვნა, რომ ცვლილება არსებითია შემდეგი თვისებრივი ფაქტორების შედეგად:

- ▶ ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ▶ ცვლილება უზრუნველყოფის საგანში ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირება.

რაოდენობრივი შეფასებისას, პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება არ არის აღრიცხული აღიარების შეწყვეტის გამო, ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაანგარიშდება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით, თავდაპირველი საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვალებადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებებისთვის, მოდიფიცირებით გამოწვეული შემოსულობისა და ზარალის დასაანგარიშებლად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იცვლება მოდიფიცირების დროს მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვად. ნებისმიერი გაწეული დანახარჯები ან გასამრჯელოები აღიარდება, როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და მასზე ირიცხება ცვეთა მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე, ინსტრუმენტზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშების გზით.

iv. გაუფასურება

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში:

- ▶ ფინანსური აქტივები, რომლებიც სავალო ინსტრუმენტებია;
- ▶ სასესხო ვალდებულებები და გაცემული ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბანკი ზარალის რეზერვს აფასებს სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგისა, რომლებიც 12-თვიანი საკრედიტო ზარალის სახით ფასდება:

- ▶ სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაბალი საკრედიტო რისკით ხასიათდება ანგარიშგების თარიღში; და
- ▶ სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ (იხილეთ მე-4 შენიშვნა).

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისთვისაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, მოიხსენიებიან 1-ლი ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტები.

სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისთვისაც აღიარდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოიხსენიება, როგორც მე-2 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტები (თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტები არ არიან გაუფასურებული) და მე-3 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტები (თუ ფინანსური ინსტრუმენტები გაუფასურებულია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას და ისინი შემდეგი სახით ფასდება:

- ▶ ამოუღებელი სასესხო ვალდებულებები: მიმდინარე ღირებულება სხვაობისა ვალდებულების დაფარვის შემთხვევაში ბანკისთვის მართებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს და ისეთ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც გეგმავს ბანკი; და
- ▶ ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები: მფლობელის ასანაზღაურებლად მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომლის ანაზღაურებასაც მოელის ბანკი.

ასევე იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივების რესტრუქტურული ზაცია

თუ ფინანსური აქტივების ვადა განმეორებით შეფასდება ან შეიცვლება, ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ჩანაცვლდება ახლით, გაკეთდება შეფასება, უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. 3(დ)(ii) შენიშვნა) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემდეგი სახით შეფასდება.

- ▶ თუ მოსალოდნელი რესტრუქტურული ზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შევა არსებული აქტივებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების დეფიციტის დაანგარიშებაში (იხ. მე-4 შენიშვნა);
- ▶ თუ მოსალოდნელი რესტრუქტურული ზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება საბოლოო ფულად ნაკადებად არსებული ფინანსური აქტივიდან, მისი აღიარების შეწყვეტის დროისთვის. ეს თანხა შესულია არსებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების დეფიციტის დაანგარიშებაში, რომლებიც დისკონტირდება აღიარების შეწყვეტის მოსალოდნელი თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე, არსებული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(დ) სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ბანკი აფასებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებულია თუ არა (მოიხსენიება როგორც „მე-3 ეტაპის ფინანსური აქტივები“). ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს მოიცავს:

- ▶ 90-ზე მეტი დღით გადაგადაცილებული სესხები;
- ▶ გაკოტრების საქმეთწარმოება და/ან სასამართლო საქმე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის მიერ ვალდებულებების მომსახურების უნარზე;
- ▶ მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ▶ თაღლითობის მოვლენა ან სხვა ფორს-მაჟორული ვითარება, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.
- ▶ კონტამინაციის პრინციპის გამო კონკრეტული მსესხებლის ყველა დავალიანება გადანაწილება ამგვარი მსესხებლისთვის ხელმისაწვდომ ყველაზე დაბალ ეტაპზე ანგარიშგების თარიღისთვის.

სესხი, რომელიც განმეორებით შეთანხმდა მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების გამო ჩვეულებრივ მიიჩნევა გაუფასურებულად, სანამ არ გაჩნდება მტკიცებულება იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების არ მიღების რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ნიშნები არ არსებობს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც კლება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერები

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან მთლიანად), როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი აღდგება მთლიანად ან ნაწილობრივ. ზოგადად ამ დროს ბანკი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ეს შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება შესულია მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების „ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის“ მუხლში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები კვლავ შეიძლება იყოს აღსრულების საგანი, ბანკის ვალდებულებების აღდგენის პროცედურებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო რეზერვი სებ-ში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, სებ-სგან მისაღებ თანხებს, სავალდებულო მარაგების გამოკლებით, მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და სხვა მაღალლიკვიდურ ფინანსურ აქტივებს სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით, რომლებსაც აქვს სამართლიანი ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და გამოიყენება ბანკის მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო რეზერვი სებ-ში (გაგრძელება)

სავალდებულო მარაგების ნაშთი წარმოადგენს პროცენტთან ანაზარს, რომელიც დაანგარიშდება სებ-ის მიერ გაცემული რეგულაციების შესაბამისად და რომელთა ამოღებად შერეულია. სავალდებულო რეზერვის ანაზარი სებ-ში არ მიიჩნევა ფულადი სახსრების ეკვივალენტად, მისი ამოღებადობის შეზღუდვის გამო.

(ვ) მომხმარებლებზე გაცემული სესხები

„სამომხმარებლო სესხების“ მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო ფინანსურ აქტივებს; ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნარჩენი პირდაპირი გარიგების ფასების დამატებით და შემდგომში მათი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ზ) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების“ მუხლი მოიცავს: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალდებულო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (იხ. 3(ე)(ii) შენიშვნა); ისინი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნარჩენი პირდაპირი გარიგების ფასების დამატებით და შემდგომში მათი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(თ) დასაკუთრებული ქონება

დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შეძენისას ფასდება შესაბამისი სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, სხვა ფინანსურ აქტივებში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

(ი) ანარიცხები

ანარიცხი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ბანკს ექნება სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება განვლილი მოვლენის შედეგის სახით, და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების შესაბამის რისკებს.

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა კონკრეტული იდენტიფიცირების მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ლ) ფინანსური გარანტიები და სასესხო ვალდებულებები

ფინანსური გარანტია არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ბანკს ავალდებულებს გარკვეული შენატანების განხორციელებას, რომ აუნაზღაუროს გარანტიის მფლობელს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. სასესხო ვალდებულებები ადრე მითითებული პირობების ფარგლებში კრედიტის შეთავაზების უცვლელი ვალდებულებებია.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ამის შემდეგ, ისინი შემდეგი სახით ფასდება:

- ▶ ფასს (IFRS) 6-ის ფარგლებში განსაზღვრული ზარალის რეზერვს (იხ. 3(დ) შენიშვნა) და შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის პრინციპების თანახმად აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით;

ბანკს არ გაუცია სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და აისახება მოგებაში ან ზარალში.

სხვა სასესხო ვალდებულებებისთვის:

- ▶ ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს (იხილეთ 3(დ)(iv) შენიშვნა).

ანარიცხებში შესულია ფინანსური გარანტიებიდან და სასესხო ვალდებულებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

(მ) შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწვევითანავე. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. რომელიმე შემთხვევაში მითითებული ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ნაწილების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5 წლამდე
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ბანკი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ნ) გუდვილი

გუდვილი არის ნამეტი შესყიდვის ხარჯსა და შესყიდვის თარიღისთვის შესყიდული შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს ამოცნობად აქტივებში, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებში შემსყიდველი საწარმოს წილის სამართლიან ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიების შემენისას წარმოქმნილი გუდვილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბანკი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს შეწყვეტილ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებასაც, და ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

(ო) არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ამორტიზაცია მოგებასა და ზარალს ერიცხება წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ერთიდან ათ წლამდე მერყეობს.

(პ) სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ნაზარდი დანახარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას და წილობრივი ოფციონები აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტების გამოკლებით.

დივიდენდები

ბანკის მიერ დივიდენდების გამოცხადება და გადახდა ექვემდებარება საქართველოს დადგენილ წესებსა და ნორმატიულ აქტებს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული დივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნებით, ამ დივიდენდების გამოცხადების პერიოდში.

(ჟ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ქ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება წლის დასაბეგრ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელსაც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი უნდა ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც აქციონერებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს გაწეულ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებას შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება შემდეგი დროებითი სხვაობებისთვის:

- ▶ გარიგებაში აქტივების ან ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რაც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას და რომელიც არ მოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე;
- ▶ შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტირებასთან დაკავშირებული დროებითი სხვაობები, იმის გათვალისწინებით შეუძლია თუ არა ბანკს დროებითი სხვაობების შემობრუნების ვადების კონტროლი და სავარაუდოა, რომ ისინი არ შემობრუნდება განჭვრეტად მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება გამოუყენებელ საგადასახადო ზარალზე, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებზე და დაქვითვად დროებით სხვაობებზე, თუ ნავარაუდევია, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების შემობრუნების საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა არ შეესაბამება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებას, მაშინ მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელიც კორექტირდება არსებული დროებითი სხვაობების შემობრუნებისთვის, გათვალისწინდება ბანკში ინდივიდუალური შვილობილი კომპანიების ბიზნეს გეგმების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და შემცირდება მაშინ, თუ აღარ არის სავარაუდო, რომ მოხდება დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირება შემობრუნდება მაშინ, როდესაც გაუმჯობესება მომავალი დასაბეგრი მოგების გაუმჯობესების ალბათობა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ჟ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების განხორციელების ან გადახდის მოსალოდნელ წესს 2023 წლის 1 იანვრამდე, ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან ფაქტობრივად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი აღარ იქნება შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მათი აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი გახდება მომავალი დასაბეგრი ქონების ხელმისაწვდომობა, რასთან მიმართებითაც შესაძლებელია მათი გამოყენება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის თანხის განსაზღვრებისას ბანკი ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და ასევე იმ ფაქტს, გადასახდელი იქნება თუ არა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და დაგვიანებული გადახდის გამო დაკისრებული პროცენტი. ბანკი დარწმუნებულია, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებისთვის ადეკვატური დარჩება ყველა ღია საგადასახადო წელს, მის მიერ განხორციელებული მრავალი ფაქტორის შეფასების, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებს და დაშვებებს და შესაძლოა მოიცავდეს მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების სერიებს. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც ბანკს აიძულებს არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობის შესახებ მისი მსჯელობის ცვლილებას; საგადასახადო ვალდებულებებში ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე, იმ პერიოდში, როდესაც გაკეთდება ამგვარი განსაზღვრება.

ახალი საგადასახადო სისტემის ზემოთ აღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(რ) იჯარა

ბანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება ნებისმიერი წინასწარ გაწეული პირდაპირი დანახარჯი და ნებისმიერი გაუმჯობესებების დემონტაჟისა და გატანის ხარჯების შეფასება.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყების თარიღიდან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე. ამასთან, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იცვლება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასების შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი განაკვეთის ობიექტურად შეფასება შეუძლებელია, ბანკის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. ზოგადად, ფასდაკლების განაკვეთის სახით გამოიყენება ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასდება, როდესაც ადგილი აქვს მომავალი საიჯარო გადასახდელების ან იმის შეფასების ცვლილებას, ბანკი ისარგებლებს თუ არა ვადის გახანგრძლივების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობით. შესაბამისი კორექტირება კეთდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაში, ან თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულამდე შემცირდება.

ბანკმა გადაწყვიტა არ ეღიარებინა აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების და მოკლევადიანი იჯარებისთვის. ბანკი აღიარებს წინამდებარე იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადასახდელებს ხარჯის სახით, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, იჯარის ვადაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ს) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმა - ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებების მე-2 ეტაპი

2020 წლის აგვისტოში, ბასსს-მ გამოსცა საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმა - ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებების მე-2 ეტაპი (IBOR რეფორმის მე-2 ეტაპი), შიდა საბანკო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) ურისკო განაკვეთით (RFR) ჩანაცვლებით გამოწვეული საკითხების გათვალისწინებით მიზნით.

შიდა საბანკო განაკვეთის (IBOR) რეფორმის მე-2 ფაზა მოიცავს რამდენიმე შემამსუბუქებელ პირობას და დამატებით განმარტებით შენიშვნას. შემამსუბუქებელი პირობების გამოყენება ხდება ფინანსური ინსტრუმენტის IBOR-იდან ურისკო განაკვეთზე (RFR) გადასვლისთანავე.

საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკების ფუნდამენტური რეფორმის ფარგლებში პრაქტიკული მიდგომის სახით მოითხოვება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილება, რომელიც ჩაითვლება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებად იმის უზრუნველყოფით, რომ ფინანსური ინსტრუმენტისთვის შიდა საბანკო განაკვეთის ბენჩმარკის განაკვეთიდან ურისკო განაკვეთზე გადასვლა ხდება ეკონომიკურ საფუძვლებზე.

ფასს (IFRS) 17 - 2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს (IFRS) 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ფასს (IFRS) 17 ძალაშია საანგარიშგებო პერიოდისთვის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის, ასევე ძალაში შესვლის შემდეგ, ფასს (IFRS) 17 ჩანაცვლებს ფასს (IFRS) 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს (IFRS) 4), რომელიც 2005 წელს გამოიცა.

ბანკი ამჟამად არის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს (IFRS) 17-ის გავლენის შეფასების პროცესში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 8-ის ცვლილება, რომელშიც ის სააღრიცხვო შეფასებების განმარტებას იძლევა. ცვლილებებით ხდება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებას და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას შორის სხვაობის განმარტება და ხარვეზების გამოსწორება. ამასთან, განმარტებულია როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ტექნიკებს და შემოსულ რესურსებს სააღრიცხვო შეფასებების შესამუშავებლად.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული და მისი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის და ვრცელდება ამ პერიოდში ან მისი დაწყების შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში განხორციელებულ ცვლილებებზე. ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია ამ ფაქტის გამჟღავნების პირობით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება ბანკზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ბასს (IAS) 1-ის და ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის მე-2 განცხადების - არსებითობასთან დაკავშირებული მსჯელობები - ცვლილება, რომელშიც მან წარმოადგინა სახელმძღვანელო მითითებები და მაგალითები საწარმოების დასახმარებლად სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების არსებითობასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. ცვლილების მიზანია დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გაკეთებაში, რომლებიც მეტად სასარგებლოა საწარმოების „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნის ჩასანაცვლებლად მათი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკების გამჟღავნების მოთხოვნით და სახელმძღვანელო მითითების დასამატებლად იმაზე, თუ როგორ იყენებენ საწარმოები არსებითობის კონცეფციას სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(ს) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1-ის ეს ცვლილება ვრცელდება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება. რადგან პრაქტიკული განცხადების 2 ცვლილება უზრუნველყოფს არასავალდებულო სახელმძღვანელო მინიშვნებს ტერმინის „არსებითი“ განმარტების სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციაში გამოყენებაზე, ამ ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი საჭირო არ არის.

ბანკი აფასებს ამ ცვლილების გავლენას იმ გავლენის განსაზღვრებაზე, რომელიც მათ აქვთ ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ბანკის ფინანსურ რისკებზე დაქვემდებარების შესახებ. ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკი – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები

გაუფასურების შეფასებისას გამოყენებული შემავალი ინფორმაცია, დაშვებები და ტექნიკები

სააღრიცხვო პოლიტიკა იხილეთ 3(ე)(iv) შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი (ე.ი. ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი) მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომია გაუმართლებელი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მათ შორის რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის და ანალიზის ჩათვლით, რომელიც ბანკის გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას ეფუძნება.

იმის განსაზღვრად, ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში, ბანკი შემდეგ კრიტერიუმებს იყენებს:

- ▶ 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე დავალიანება;
- ▶ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და ზემოქმედება რესტრუქტურირებულია;
- ▶ სხვა სისუსტეები, რომლებსაც ბანკი თვლის, რომ ნეგატიური გავლენა ექნება მსესხებლის შესრულების მაჩვენებლებზე. (მაგ. საყურადღებო სიაში შემავალი კლიენტები).
- ▶ კონტამინაციის პრინციპის საფუძველზე კონკრეტული მსესხებლის ყველა დავალიანება გადანაწილდება ამგვარი მსესხებლისთვის ხელმისაწვდომ ყველაზე მაღალი საკრედიტო რისკის არსებობის ეტაპზე ანგარიშგების თარიღისთვის.

დეფოლტის ალბათობის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის გენერირება

ვადაგადაცილებული დღეები უპირატეს შემავალ ინფორმაციას წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის განსაზღვრებისთვის, მიგრაციის მატრიცების მარკოვის მოდელში ყველა დაქვემდებარებისთვის. მიგრაციის მატრიცები აიგება ბოლო 60 თვის მონაცემების გამოყენებით და დაანგარიშდება სესხის ნომრების საფუძველზე.

განსაზღვრება იმისა, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

ბანკი ყოველ საანგარიშგებო თარიღში აფასებს საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. რა ითვლება მნიშვნელოვნად განსხვავდება სესხის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებს შორის. ბანკი იყენებს ფინანსური აქტივების ვადაგადაცილების სტატუსს, როგორც უკუსვლის მაჩვენებელი და სხვა თვისებრივი ინდიკატორები იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები (გაგრძელება)

საჭიროების შემთხვევაში, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არის მომენტი, როდესაც აქტივი 30 დღეზე მეტ ხანს არის ვადაგადაცილებული. ვადაგადაცილებული დღეები განისაზღვრება გადახდის ყველაზე ადრეული თარიღიდან გასული დღეების რაოდენობის დაანგარიშებით, რომელთან მიმართებითაც არ მომხდარა სრული თანხის მიღება.

დეფოლტის განმარტება

ბანკი სესხს დეფოლტირებულად განიხილავს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული რომელიმე კრიტერიუმი:

- ▶ 90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები;
- ▶ გაკოტრების საქმეთწარმოება და/ან სასამართლო საქმე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის მიერ ვალდებულებების მომსახურების უნარზე;
- ▶ მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ▶ თაღლითობის შემთხვევა ან სხვა ფორს-მაჟორული ვითარება, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს მსესხებლის მიერ ვალის დაფარვის უნარზე.

კონტამინაციის ეფექტი მიიჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის და დეფოლტის განსაზღვრებად, რომლითაც კონკრეტული მსესხებლის ყველა დავალიანება გადანაწილდება ამგვარის მსესხებლისთვის კონკრეტულ ხელმისაწვდომ ყველა დავალიანებაზე ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით; დეფოლტის სტატუსი რეგულარულად (თვეში ერთხელ) ფასდება. ზოგადად სესხი დეფოლტირებულად რჩება, თუ მისი არსებობის მანძილზე ის სულ მცირე ერთხელ იყო დეფოლტირებული, თუმცა ეს შემთხვევები იშვიათად ხდებოდა, რასაც ბანკი ცალკე აფასებს.

მოდIFIცირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შეიძლება რამდენიმე მიზეზით შეიცვალოს, რომელთა შორის არის ბაზარზე ვითარების შეცვლა, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ უკავშირდება კლიენტის არსებული და პოტენციური კრედიტუნარიანობის გაუარესებას. შესაძლოა შეწყდეს ისეთი არსებული სესხი აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა და განმეორებით შეთანხმებული სესხი აღიარდეს, როგორც ახალი სესხი სამართლიანი ღირებულებით.

ბანკი ფინანსური სირთულეების მქონე მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს განმეორებით ათანხმებს, სესხის დაბრუნების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ბანკის რესტრუქტურისაციის პოლიტიკის ფარგლებში, სესხი რესტრუქტურიზდება, თუ მსესხებელმა ბოლო დროს ვერ შეასრულა მის სესხთან დაკავშირებული ვალდებულებები ან თუ არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ გადახდა განეხორციელებინა თავდაპირველად შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობებით და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას.

შეცვლილი პირობები ჩვეულებრივ მოიცავს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, პროცენტის დაფარვის ვადების ცვლილებას და სესხის თავდებობის პირობების ცვლილებას. რესტრუქტურისაცია საკრედიტო რისკის, დეფოლტისა და კრედიტის გაუფასურების თვისებრივი ინდიკატორია. ამიტომ ბანკი ამგვარ კლიენტს არასტანდარტულად მიიჩნევს და მე-2 ეტაპზე გადადის. განისაზღვრა ზიანის გამოსწორების პერიოდი უმცირესი თანმიმდევრული პერიოდის ექვსი თვის გავლის შემდეგ შეცვლილი გადახდის გრაფიკის მიხედვით რესტრუქტურისებული დავალიანების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დავალიანებიდან 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კატეგორიაში გადასვლას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- ▶ დეფოლტის ალბათობა (PD);
- ▶ დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- ▶ დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პირველ ეტაპზე არსებული კრედიტის ოდენობებისთვის დაანგარიშდება 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი დეფოლტის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებსა და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებებზე.

ბანკი აფასებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. არსებობის მანძილზე გადაუხდელი სესხების აღდგენილი პორტფელის პროცენტის განსასაზღვრად გამოიყენება ძველებური მიდგომა. ამგვარი სესხები ჯგუფდება გადაუხდელი თვეების მიხედვით და დაფარული ნაწილი უკავშირდება თითოეულ ჯგუფს. იმ პორტფელისთვის, რომლებიც ბოლო დროს გახდა დეფოლტირებული, მომავალ სავარაუდო დაფარვასთან დაკავშირებული პროგნოზის გასაკეთებლად სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება. და ბოლოს, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დასაანგარიშებლად ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით და იყოფა გადაუხდელ პორტფელზე.

ანაზრით (ნაღდი ფულით) უზრუნველყოფილი სესხებისთვის და როსესაც ანაზრების ვალუტა განსხვავდება სესხის ვალუტისგან, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება იმ შემთხვევაში, თუ ვალუტა 20%-ით გაუფასურდება. ოქროს სალომბარდო სესხების შემთხვევაში, ზარალი უტოლდება სხვაობას დავალიანებასა და ოქროს გირაოს საგანს შორის, რომელიც გადაფასდება ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ერთი უნციის საშუალო ფასით.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, რომელიც დაანგარიშდება დაგეგმილი სესხებისთვის, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათებისა და საკრედიტო ხაზებისთვის განცალკევებით, თითოეული პერიოდისთვის. სესხის გაცემის მომენტიდან დეფოლტის საშუალო პერიოდის დასაანგარიშებლად ასევე გათვალისწინდება სესხთან დაკავშირებული ქცევა. განვლილი მონაცემების ანალიზმა უჩვენა, რომ ზარალის იდენტიფიცირების პერიოდი 6 თვეს შეადგენს. შესაბამისად, ეს მომენტი გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად, დაგეგმილი ძირი თანხის დაფარვების გამოკლებით, საპროგნოზო ვადაგადაცილების თარიღამდე და სამთვიანი პროცენტის დამატებით, რომელიც ირიცხება ვადაგადაცილების თარიღიდან, იმ თარიღამდე, როდესაც სესხი დეფოლტირებული ხდება.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათებისა და საკრედიტო ხაზებისთვის დაანგარიშდება პირდაპირ პირვანდელი მონაცემებით, ამ მიზნით დაანგარიშდება გამოყენების მაჩვენებლები - დამტკიცებული ლიმიტიდან გამოყენებული დავალიანების რაოდენობა - ყველა დეფოლტირებული ოვერდრაფტებიდან და საკრედიტო ბარათებიდან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის საწყის და საბოლოო ნაშთებს, ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით.

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - ბიზნეს სესხები</i>	2021				2020			
	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>
ნაშთი 1 იანვარს	3,364	19,539	8,472	31,375	2,876	3,763	7,075	13,714
გადატანები 1-ელ ეტაპზე	2,649	(2,649)	-	-	136	-	(136)	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(168)	168	-	-	(487)	505	(18)	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(44)	(2,794)	2,838	-	(40)	(1,051)	1,091	-
შემობრუნება	-	-	258	258	-	-	435	435
ზარალის რეზერვის წმინდა შეფასება	(4,741)	(2,943)	3,412	(4,272)	(832)	10,060	1,539	10,767
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	3,326	-	-	3,326	8,247	-	-	8,247
გადატანები მე-2 ეტაპზე	(1,635)	1,635	-	-	(6,262)	6,262	-	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(194)	-	194	-	(274)	-	274	-
ჩამოწერა	-	-	(1,785)	(1,785)	-	-	(1,788)	(1,788)
ნაშთი 31 დეკემბერს	2,557	12,956	13,389	28,902	3,364	19,539	8,472	31,375

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით - სამომხმარებლო სესხები</i>	2021				2020			
	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>
ნაშთი 1 იანვარს	650	1,255	2,226	4,131	691	441	2,359	3,491
გადატანები 1-ელ ეტაპზე	72	(72)	-	-	34	(18)	(16)	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(12)	12	-	-	(34)	34	-	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(6)	(141)	147	-	(11)	(99)	110	-
შემობრუნება	-	-	11	11	-	-	136	136
ზარალის რეზერვის წმინდა შეფასება	(449)	(576)	1,311	286	(245)	588	1,300	1,643
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	749	-	-	749	594	-	-	594
გადატანები მე-2 ეტაპზე	(81)	81	-	-	(309)	309	-	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(450)	-	450	-	(70)	-	70	-
ჩამოწერა	-	-	(1,238)	(1,238)	-	-	(1,733)	(1,733)
ნაშთი 31 დეკემბერს	473	559	2,907	3,939	650	1,255	2,226	4,131

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფინანსური რისკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (გაგრძელება)

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით – იპოთეკური სესხები</i>	2021				2020			
	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>	<i>1-ლი ეტაპი</i>	<i>მე-2 ეტაპი</i>	<i>მე-3 ეტაპი</i>	<i>სულ</i>
	ნაშთი 1 იანვარს	264	1,022	890	2,176	249	172	677
გადატანები 1-ელ ეტაპზე	106	(106)	-	-	-	-	-	-
გადატანები მე-2 ეტაპზე	(2)	2	-	-	(23)	23	-	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(1)	(37)	38	-	-	(71)	71	-
შემობრუნება	-	-	(34)	(34)	-	-	64	64
ზარალის რეზერვის წმინდა შეფასება	(241)	(438)	504	(175)	(49)	763	-	714
ახალი წარმოშობილი ან შემენილი ფინანსური აქტივები	184	-	-	184	300	-	-	300
გადატანები მე-2 ეტაპზე	(50)	50	-	-	(135)	135	-	-
გადატანები მე-3 ეტაპზე	(89)	-	89	-	(78)	-	78	-
ჩამოწერა	-	-	(479)	(479)	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერს	171	493	1,008	1,672	264	1,022	890	2,176

სამეთვალყურეო საბჭოს რისკების მართვის კომიტეტის პასუხისმგებლობაა ბანკის რისკების ლიმიტებთან და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის კონტროლზე, ბანკის შიდა დოკუმენტაციების შესაბამისად. ბანკის რისკების მართვის პროცედურების ეფექტურობის და მათი თანმიმდევრულად გამოყენების მართვის მიზნით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, რისკების მართვის კომიტეტი და მმართველი უწყებები პერიოდულად იღებენ შიდა აუდიტის თანამშრომლებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, განიხილავენ მათ შინაარსებს და ითვალისწინებენ შემოთავაზებულ პრევენციულ მოქმედებებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები, პორტფელურ და საოპერაციო დონეებზე, იმართება და კონტროლირდება საკრედიტო კომიტეტების და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სისტემებით. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ეფექტური გადაწყვეტილებები, ბანკი ადგენს საკრედიტო კომიტეტის იერარქიას, რაც დამოკიდებულია წარსადგენი სამუშაოს სახეობასა და რაოდენობაზე.

მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ხდება გარე და შიდა რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მართვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის ფაქტორების სრული სპექტრისა და რისკის შემცირების არსებული პროცედურების რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკის ანალიზისგან განცალკევებით, რისკების მართვის დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს რეგულარული შეხვედრების ჩატარებით საოპერაციო ერთეულებთან, რათა მიღებულ იქნას ექსპერტის დასკვნები მათი მართვის შესაბამის სფეროში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიყენებს. საკრედიტო რისკის ბანკს უმეტესად ექმნება კონტრაქტებთან მისი საკრედიტო და სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

ბანკი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა ბანკმა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების ჯგუფზე ან დარგობრივ სეგმენტზე. ამასთან, ბანკმა ცალკეული მსესხებლებისათვის საკრედიტო ლიმიტების დასამტკიცებლად საკრედიტო კომიტეტების სამი დონე შექმნა. თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ლიმიტები განსხვავდება სესხის ტიპის მიხედვით. ფილიალის დონეზე გაიცემა მხოლოდ საცალო სესხები მაქსიმუმ 10 ათასი ლარის ოდენობით და მაქსიმუმ 20 ლარის თანხის ავტორიზებული საცალო სესხები (სახელფასო/საკრედიტო ბარათი/ოვერდრაფტი). სასესხო განაცხადებს აფორმებენ კლიენტებთან ურთიერთობის შესაბამისი მენეჯერების და შემდეგ გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს საკრედიტო ლიმიტის დასამტკიცებლად.

საკრედიტო რისკის გაკონტროლების მიზნით, პორტფელის ანალიზის მენეჯერი რეგულარულ ანგარიშებს ამზადებს, რომლებსაც საკრედიტო რისკის დეპარტამენტი განიხილავს. მონიტორინგი გულისხმობს კლიენტის ფინანსური მდგომარეობის შემოწმებას.

ბანკი ასევე ექვემდებარება გარანტიებიდან და აკრედიტივებიდან წარმოქმნილ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკი გარეგანსური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც ბალანსური ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

ბანკის ფინანსური აქტივების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2021				2020			
	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა უცხო ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60,944	18,206	1,842	80,992	62,880	17,485	1,593	81,958
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	146,155	-	-	146,155	150,957	-	-	150,957
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	949,286	241	679	950,206	896,354	1,857	601	898,812
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	93,005	34,000	-	127,005	87,311	-	-	87,311
სხვა ფინანსური აქტივები	4,894	-	-	4,894	4,561	-	-	4,561
	1,254,284	52,447	2,521	1,309,252	1,202,063	19,342	2,194	1,223,599

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს ანაბრების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის მოსვლის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური ინსტიტუტების მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოძრაობის შეფასებით, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. დირექტორთა საბჭო აწესებს ლიმიტებს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორის და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

ბანკის ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- ▶ ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- ▶ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესებას;
- ▶ მაღალი ლიკვიდურობის და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- ▶ პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედებში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ▶ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- ▶ დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

ბანკის სახაზინო განყოფილებას შემდეგი პასუხისმგებლობა აკისრია:

- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ▶ ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ლიკვიდური აქტივების დონეების შესახებ ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო), ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ;
- ▶ ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში, ფულადი ნაკადების საპროგნოზო დონეების შესახებ, ძირითად ვალუტებში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ▶ ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- ▶ ანაბრებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- ▶ ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის ქონა, რათა სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით.

ბანკი აფასებს და მართავს ლიკვიდურობის პოზიციას სებ-ის მიერ ლიკვიდურობისთვის დადგენილი კონკრეტული კოეფიციენტების საფუძველზე. სებ-ის დადგენილების თანახმად, თვიური საშუალო ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) არ უნდა იყოს 100%-ზე ნაკლები. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. ფინანსური რისკის მართვის განყოფილებას ევალება ამ საქმიანობათა გაკონტროლება. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი იღებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)***ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით*

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში:

<i>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები და ბანკებიდან მიღებული ანაბრები და ნაშთები	144,806	24,147	113,230	2,889	285,072
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები მომხმარებლისგან	604,308	178,135	102,907	24,356	909,706
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,956	–	–	–	4,956
სუბორდინირებული სესხები	1,162	4,411	61,046	6,345	72,964
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
შემოდინება	89,168	–	–	–	89,168
გადინება	(89,033)	–	–	–	(89,033)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	755,367	206,693	277,183	33,590	1,272,833
<i>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და ნაშთები ბანკებისგან	99,881	38,631	75,349	898	214,759
მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები მომხმარებლისგან	521,303	229,790	114,331	22,335	887,759
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,939	–	3,088	–	9,027
სუბორდინირებული სესხები	1,254	4,690	61,119	14,038	81,101
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
შემოდინება	77,645	–	–	–	77,645
გადინება	(78,094)	–	–	–	(78,094)
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	627,928	273,111	253,887	37,271	1,192,197

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ბანკი ითვალისწინებს ყველა მისი ფინანსური გარანტიის და ამოუღებელი სასესხო ვალდებულების მაქსიმალური ლიკვიდურობის რისკს 3 თვეზე ნაკლები ოდენობით, რადგან ეს არის ყველაზე მცირე პერიოდი, როდესაც შესაძლოა მოხდეს გარანტიების გამოხმობა ან სესხის ვალდებულებების დაფარვა. თუმცა, განვლილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ბანკი გასწევს ლიკვიდურობის რისკს მისი ფინანსური და პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მათი სახელშეკრულებო ვადების შესაბამისად:

	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2021 წლის 31 დეკემბერი	31,684	10,272	43,209	12,986	98,151
2020 წლის 31 დეკემბერი	28,184	11,951	29,697	115	69,947

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი უმეტესწილად წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებზეც მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ბაზრის ცვალებადობა და საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილება. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, რისკისა და უკუგების ოპტიმიზაცია.

ბანკი მის საბაზრო რისკს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებზე სებ-ის გონივრული განაკვეთის მოთხოვნების შესაბამისად. ეს ლიმიტები ყოველდღიურად იმართება და მონიტორინგის პროცესს ზედამხედველობს დირექტორთა საბჭო.

კონკრეტული სასესხო ხელშეკრულებები საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს უწესებს ბანკს. ბანკი არ აკმაყოფილებდა ერთ კოვენანტს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეცვლილი ხელშეკრულების პირობები ორივე მხარემ შეათანხმა და დაადასტურა წლის დასრულებამდე, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ცვლილება 2022 წლის თებერვალში გაფორმდა და ის რეტროსპექტულად მოიცავდა 2021 წელს, ამასთანავე, იმავე კონტრაქტისგან ბანკმა დამატებითი დაფინანსება მიიღო წლის დასრულებამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბანკის ნასესხები სახსრების ერთ ნაწილზე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი ირიცხება, ხოლო ბანკის ანაზრებსა და სესხების უმრავლესობის პორტფელზე ფიქსირებული განაკვეთი ვრცელდება. სებ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს მინიმალურ მარაგებზე, რომლებსაც ბანკი სებ-ში ფლობს. ბანკი ასევე ფლობს მომხმარებლებზე გაცემული სესხების პორტფელს, რომლებზეც ცვალებადი საპროცენტო შემოსავალი ირიცხება. ამ ფინანსურ აქტივებს უკუეფექტი აქვთ ურთიერთგადაფარვის შესაძლო ზარალზე, ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ნეგატიური მოძრაობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო პუნქტით ცვლილების ეფექტი ბანკის კაპიტალზე (გადასახადების გამოკლებით):

	2021	2020
ფინანსური აქტივები	762,985	603,589
ფინანსური ვალდებულებები	(53,584)	(78,086)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძობელობის პოზიცია	709,401	525,503
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდა	6,030	4,467
ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით კლება	(6,030)	(4,467)

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსის (IBOR) რეფორმა

მას შემდეგ, რაც გლობალურმა მარეგულირებელმა ორგანოებმა გადაწყვიტეს ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBORs) ეტაპობრივი გაუქმება და მათი ჩანაცვლება სხვა საორიენტაციო განაკვეთებით, ბანკმა შექმნა პროექტი თავისი შესაბამისი ხელშეკრულებების ამ განაკვეთებზე გადასაცვანად. 2021 წლის განმავლობაში ბანკმა გააგრძელა დეტალური გეგმების, პროცესებისა და პროცედურების შემუშავება, რათა გაეადვილებინა მომავალ პერიოდებში ბანკის IBOR-ზე მიბმული კრედიტების ახალ საორიენტაციო განაკვეთებზე გადასვლა.

IBOR-ის რეფორმა ბანკს უქმნის სხვადასხვა რისკს, რომელთაც პროექტი მართავს და მკაცრ მონიტორინგს უწევს. ამ რისკებში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგი:

- ▶ ქმედების რისკი, რომელიც წარმოიშობა კლიენტებთან და ბაზრის კონტრაპტენტებთან მოლაპარაკებების შედეგად, IBOR-ის რეფორმის განსახორციელებლად არსებულ ხელშეკრულებებში აუცილებელი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
- ▶ ფინანსური რისკი ბანკისა და მისი კლიენტებისთვის, რომ IBOR-ის რეფორმის გამო ბაზრები ჩამოიშლება და გამოიწვევს ფინანსურ ზარალს;
- ▶ საფასო რისკი საბაზრო ინფორმაციის პოტენციური არარსებობის გამო, თუ ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ლიკვიდურობა შემცირდება, ხოლო ურისკო განაკვეთები იქნება არალიკვიდური და არადაკვირვებადი;
- ▶ საოპერაციო რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებიდან და პროცესებიდან, ასევე გადახდების შეფერხების რისკი, თუ ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი აღარ იქნება ხელმისაწვდომი.

ბანკის IBOR-ებზე მიბმული კრედიტის მოცულობა წლის ბოლოსთვის, რომელიც ექვემდებარება ცვლილებას და ჯერ არ გადასულა ურისკო განაკვეთებზე, შემოიფარგლება მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 259,074 ათასი ლარი და ნასესხები სახსრებით საბალანსო ღირებულებით 5,659 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი**

ბანკის აქტივები და ვალდებულებები გამოხატულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებით 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2021 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,387	6,348	18,585	388	46,708
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	–	115,396	30,759	–	146,155
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	411,680	353,740	184,786	–	950,206
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	127,005	–	–	–	127,005
სხვა ფინანსური აქტივები	819	742	3,331	2	4,894
სულ აქტივები	560,891	476,226	237,461	390	1,273,968
ვალდებულებები					
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები და ბანკებიდან მიღებული ანაზრები და ნაშთები	165,188	11,742	53,956	–	230,886
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	309,643	475,830	104,145	879	890,497
სუბორდინირებული სესხები	–	45,539	12,518	–	58,057
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,616	200	124	16	4,956
სულ ვალდებულებები	479,447	533,311	170,743	895	1,184,396
წმინდა საბალანსო პოზიცია	81,444	(57,085)	66,718	(503)	90,574
წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	7,744	51,917	(59,661)	–	–
ნეტო პოზიცია	89,188	(5,168)	7,057	(503)	90,574
2020 წლის 31 დეკემბერი				სხვა ვალუტები	სულ
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16,771	17,080	3,686	678	38,215
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	–	115,255	35,702	–	150,957
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	336,603	340,506	221,703	–	898,812
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	87,311	–	–	–	87,311
სხვა ფინანსური აქტივები	496	253	3,811	1	4,561
სულ აქტივები	441,181	473,094	264,902	679	1,179,856
ვალდებულებები					
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები და ბანკებიდან მიღებული ანაზრები და ნაშთები	95,238	27,793	75,201	–	198,232
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები მომხმარებლებისგან	282,087	460,073	118,238	1,088	861,486
სუბორდინირებული სესხები	–	47,120	14,369	–	61,489
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8,062	314	643	8	9,027
სულ ვალდებულებები	385,387	535,300	208,451	1,096	1,130,234
წმინდა საბალანსო პოზიცია	55,794	(62,206)	56,451	(417)	49,622
წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	11,774	54,097	(65,871)	–	–
ნეტო პოზიცია	67,568	(8,109)	(9,420)	(417)	49,622

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის (გაუფასურება)/გამყარება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ქვემოთ არის მითითებული, იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებასა და ზარალზე, ქვემოთ ნაჩვენებია ოდენობით. ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ბანკის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2021	2020
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებაში	439	689
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(439)	(689)
ევროს 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებაში	(600)	801
ევროს 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	600	(801)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2021	საშუალო კურსი 2020	საანგარიშგებო თარიღი	საანგარიშგებო თარიღი
			სპოტ გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერი	სპოტ გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერი
1 აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766
1 ევრო	3.8140	3.5519	3.5040	4.0233

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შეფასების მეთოდებში გამოყენებულ შემავალ მონაცემებს, ესენია:

- ▶ დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: აქტივის ან ვალდებულების პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირი (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირი (ანუ ფასებიდან მიღებული) საბაზრო მონაცემები;
- ▶ დონე 3: აქტივის ან ვალდებულების ამოსავალი მონაცემები, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული შემავალი მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

ქვემოთ განხილულის გარდა ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	<i>მნიშვნელოვანი ემპირიული მონაცემები (დონე 2)</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)</i>	<i>სულ სამართლიანი ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება თანხა</i>
	2021 წლის 31 დეკემბერს			
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
წარმოებული ფინანსური აქტივები				
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	143	-	143	143
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	80,992	-	80,992	80,992
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	146,155	-	146,155	146,155
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	929,446	-	929,446	950,206
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	127,274	-	127,274	127,005
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
სუბორდინირებული სესხები	56,056	-	56,056	58,057
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები				
მომხმარებლებთან	889,225	-	889,225	890,497
საიჯარო ვალდებულებები	7,729	-	7,729	7,261

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	<i>მნიშვნელოვანი ემპირიული მონაცემები (დონე 2)</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)</i>	<i>სულ სამართლიანი ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება თანხა</i>
	2020 წლის 31 დეკემბერს			
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81,958	-	81,958	81,958
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები				
საქართველოს ეროვნულ ბანკში	150,957	-	150,957	150,957
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	872,061	-	872,061	898,812
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	88,262	-	88,262	87,311
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	449	-	449	449
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
სუბორდინირებული სესხები	60,064	-	60,064	61,489
მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები				
მომხმარებლებთან	860,694	-	860,694	861,486
საიჯარო ვალდებულებები	8,178	-	8,178	7,661

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილში არ არის ნაჩვენები არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, ასევე ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა საბალანსო ღირებულება მიიჩნევა სამართლიანი ღირებულებისგან არსებითად განსხვავებულად.

	<i>საბალანსო ღირებულებ</i>			<i>საბალანსო ღირებულებ</i>		
	<i>სამართლიანი</i>	<i>აუღიარებელი</i>		<i>სამართლიანი</i>	<i>აუღიარებელი</i>	
	<i>ღირებულებ</i>	<i>შემოსულობა/(ზარალი)</i>		<i>ღირებულებ</i>	<i>შემოსულობა/(ზარალი)</i>	
	<i>2021</i>	<i>2021</i>		<i>2020</i>	<i>2020</i>	
ფინანსური აქტივები						
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	950,206	929,446	(20,760)	898,812	872,061	(26,751)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	127,005	127,274	269	87,311	88,262	951
ფინანსური ვალდებულებები						
სამომხმარებლო ანაზრები	890,497	889,225	1,272	861,486	860,694	792
სუბორდინირებული სესხები	58,057	56,056	2,001	61,489	60,064	1,425
საიჯარო ვალდებულებები	7,261	7,729	(468)	7,661	8,178	(517)
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			(17,686)			(24,100)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

26. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის უნდა მოხდეს ხელშეკრულების მიხედვით მათი ამოღება ან დაფარვა.

	2021			2020		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	80,992	-	80,992	81,958	-	81,958
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	146,155	-	146,155	150,957	-	150,957
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	428,848	521,358	950,206	224,786	674,026	898,812
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	51,940	75,065	127,005	40,840	46,471	87,311
სხვა ფინანსური აქტივები	4,581	313	4,894	4,268	293	4,561
სულ	712,516	596,736	1,309,252	502,809	720,790	1,223,599
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები და ბანკებიდან მიღებული ანაზღაურებები და ნაშთები	154,091	76,795	230,886	133,644	64,588	198,232
მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურებები მომხმარებლებისგან	772,237	118,260	890,497	738,872	122,614	861,486
სუბორდინირებული სესხები	1,775	56,282	58,057	1,894	59,595	61,489
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,956	-	4,956	5,939	3,088	9,027
სულ	933,059	251,337	1,184,396	880,349	249,454	1,129,803
წმინდა გეპი	(220,543)	345,399	124,856	(377,540)	471,336	93,796

ბანკის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ვალდებულებებმა კლიენტების მიმართ 887,849 ათასი ლარი შეადგინა (2020 წ.: 861,486 ათასი ლარი). ბანკი ყოველთვიურად ატარებს კლიენტების მიმართ ვალდებულებებში სამომხმარებლო ანგარიშების ნაწილის სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. წინა ორი წლის ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე ანგარიშების ნაშთები არ ყოფილა საშუალოდ 231,795 ათას ლარზე ნაკლები (2020 წ.: 200,439 ათასი ლარი) წინა 24 თვის განმავლობაში. მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშებს, რაც ისტორიულად გრძელვადიანი ხასიათის მატარებელია. შესაბამისად, ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის დასადგენად გონივრულია ამ თანხების ასახვა ერთ წელზე მეტი ვადით.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

(ა) კონტროლი

ბანკის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შეიხი ნაჰავან მუზარაკ ალ ნაჰაიანი. ინფორმაცია ბანკის მესაკუთრეების შესახებ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ბ) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

თანამშრომლებზე გაწეულ ხარჯში ჩართული მთლიანი ანაზღაურება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	<i>2021</i>	<i>2020</i>
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,234	1,462

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გაუცია ახალი სესხი (2020 წ.: 112 ათასი ლარი) მის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე. 2020 წელს სესხები მეტწილად გრძელვადიანია და მათზე ირიცხება 15%-იანი საპროცენტო სარგებელი. 2021 წელს, ამ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 12 ათასი ლარი შეადგინა (2020 წ.: 20 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ ბანკში განათავსა 1,735 ათასი ლარის ანაზღაურება (2020 წ.: 2,197 ათასი ლარი). ანაზღაურება ირიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 3% და მათი ვადაა ერთი წელი საანგარიშგებო თარიღიდან. 2020 წელს, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ვადიან ანაზღაურებაზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 81 ათასი ლარი (2020 წ.: 105 ათასი ლარი).

(გ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

	<i>პროცენტი 2021</i>	<i>დაუფარავი ნაშთი 2021</i>	<i>პროცენტი 2020</i>	<i>დაუფარავი ნაშთი 2020</i>
სუბორდინირებული სესხები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირებისგან	(1,836)	32,535	(1,869)	34,415
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირების მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზღაურებები	1,892	5,335	1,879	3,443

სუბორდინირებული სესხის ვადები და პირობები მოცემულია მე-13 შენიშვნაში. 2021 წელს, დაკავშირებული მხარისგან სუბორდინირებულ სესხზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა 1,836 ათასი ლარი შეადგინა (2020 წ.: 1,869 ათასი ლარი). მიმდინარე ანგარიშებსა და ვადიან ანაზღაურებზე მეტწილად პროცენტი არ ირიცხება და ისინი მოთხოვნამდე ხასიათს ატარებენ. საპროცენტო ხარჯი 5.9 ათასი ლარის ოდენობით დაერიცხა ვადიან ანაზღაურებას დაკავშირებული მხარეებისგან (2020 წ.: 78 ათასი ლარი).

28. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის მთავარი მიზანია (i) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი აკმაყოფილებს სებ-ის მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, (ii) იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკმა შეძლოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა, და შემოწმება ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც ნაჩვენებია შესაბამისი გამოთვლები და ამის შემდეგ საანგარიშო მოხსენება იგზავნება სებ-ში.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლებიდან ბანკის მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული რეგულაციის თანახმად (2017 წლის 18 დეკემბრის ბრძანება N100/04), კაპიტალის მოთხოვნები მოიცავდა პილარ 1-ის მინიმალურ მოთხოვნას (4.5%, 6.0 %, 8.0 შესაბამისად ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი კაპიტალისთვის), კომბინირებულ ბუფერს (კონტრციკლური - 0% და კონსერვაციის ბუფერები - 2.5%) და პილარ 2-ის ბუფერებს. თავდაპირველი რეგულაცია მოიცავდა პილარ 2-ის ბუფერების ეტაპობრივ დანერგვას ოთხწლიან პერიოდში. კოვიდ-19-ის პანდემიაზე რეაგირების მიზნით, სებ-მა გამოსცა საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები კონსერვაციის ბუფერის, სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3-ის შემცირების და პილარ 2-ის ბუფერებისთვის ეტაპობრივი გრაფიკის გადავადების გზით.

2021 წლის ივნისში სებ-მა გამოაცხადა ბუფერების თანდათან აღდგენა. ბანკებს მოეთხოვებათ სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის აღდგენა 2023 წლის 1 იანვრისთვის, ხოლო კონსერვაციის ბუფერის აღდგენა - 2024 წლის 1 იანვრისთვის. პილარ 2-ის ბუფერების ეტაპობრივი დანერგვა მოხდება წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით

	<i>3/31/2022</i>	<i>3/31/2023</i>
<i>ძირითადი პირველადი კაპიტალი</i>	<i>45%</i>	<i>56%</i>
<i>პირველადი კაპიტალი</i>	<i>60%</i>	<i>75%</i>

ამასთან სებ-მა შეცვალა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის დანაგარიშების მეთოდი და ის დაუკავშირდა პორტფელის დოლარიზაციას. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, 75%-ის ნაცვლად სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები 40-დან 100%-მდე მერყეობს, უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხების წილის მიხედვით. 2023 წლის ბოლოსთვის ბუფერები უნდა აღდგეს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებლები შესაბამის მარეგულირებელ მინიმუმებს აღემატებოდა.

სებ-ის 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის წესებისა და Basel III-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ასე გამოითვლება:

	<i>2021</i>	<i>2020</i>
ძირითადი კაპიტალი	132,094	102,542
დამატებითი კაპიტალი	47,458	57,989
სულ საზედამხედველო კაპიტალი	179,552	160,531
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,132,332	1,059,976
სულ კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	12.51%	12.71%
საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი	15.86%	15.14%
სულ პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	8.09%	7.47%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.67%	9.67%

29. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

ბანკი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ბანკზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა განაგრძობს განვითარებას, თუმცა ის ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძვრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შემოღებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

30. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.

უკრაინის კონფლიქტს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. სასტუმრო, სარესტორნო და კვების ინდუსტრიის (HoReCa) ეკონომიკურ სექტორი განსაკუთრებული გავლენის ქვეშ იქნება, რადგან ტურიზმის აღდგენა შენელებდა. ამას გარდა, ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებამ შესაძლოა სხვადასხვა დონის სიმკაცრით იმოქმედოს სხვა ინდუსტრიებზე. გავლენის მთლიანი მასშტაბის სრულფასოვნად შეფასება ადრეა, თუმცა ბანკის მენეჯმენტი მოელის მშპ-ის მოსალოდნელზე ნელი ტემპით ზრდას.

2021 წელს ვიზიტორების მთლიანი რაოდენობიდან უკრაინელ სტუმრებზე მოდიოდა 8,4% და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტურისტული სფეროს აღდგენაში.

რუსეთიდან ვიზიტორების წილიც მნიშვნელოვანი - 12,7% იყო, თუმცა გაურკვეველია რა გავლენა ექნება ტურიზმს რუსეთიდან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ტერაბანკის“ HoReCa პორტფელი 112 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო სესხზე ზარალის რეზერვების განაკვეთი საშუალოდ 7,6%-ია.

საქართველოს ფოლადი და ფოლადის პროდუქტები, საკვების და სამომხმარებლო საქონლის დიდი ასორტიმენტი უკრაინიდან შემოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ეს საქონელი შესაძლოა ჩანაცვლდეს, მოკლევადიან პერიოდში ვაჭრობის შეფერხება იმოქმედებს იმპორტიორი კომპანიების ფასებსა და საქმიანობაზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ექსპორტიდან ღვინოსა და მინერალურ წყალზე მოდის, ასევე ავტომობილების რეექსპორტზე. ბანკის მენეჯმენტის აზრით, ეს სექტორები განსაკუთრებული გავლენის ქვეშ იქნებიან. რუსული ბაზრის დამოკიდებულება უფრო მაღალია და ის მრავალ მრეწველობაზე, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტზე მოქმედებს. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველო არ შეუერთდა სანქციებს, რუსულ ბაზარზე გავლენა ზომიერად უარყოფითი იქნება მოკლევადიან პერიოდში. ამ მომენტისთვის ბანკის მენეჯმენტი აფასებს და უახლოეს მომავალში განახლებს ინფორმაციას ამ გავლენის შესახებ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ბანკის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. ბანკის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ბანკი უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

სხვა ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

წლის დასრულების შემდეგ ბანკმა განაგრძო ჩვეული ბიზნეს-საქმიანობა, რაც მოიცავს დაფინანსების მოზიდვას საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან. კერძოდ, ბანკმა მიიღო 6,000 ათასი ევროს სუბორდინირებული სესხი.